1943

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

№ 2 | წელიწადი მეშვიდე | 1943 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 492—1942 წ. სასკოლო მიწის ნაკვეთების დამუშავებისა და მოვლის დარგში ჩატარებული მუშაობისა და 1943 წ. ამ დარგში მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ . . . 2
2. კითხვარი სასკოლო ნაკვეთების შესახებ . . 6
3. დადგენილება ზაფხულის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ 1942 წ. არსებული სოცშეჯიბრების გაგრძელების შესახებ 1943 წლისათვის 9
4. სოცშეჯიბრების პირობები 10
5. ბრძანება № 861 1943-44 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ 15

თბილისი — 1943

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 492

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წ. 19 თებერვალი

1942 წელს სასკოლო მიწის ნაკვეთების დამუშავებისა და მოვლის დარგში ჩატარებული მუშაობისა და 1943 წელს ამ დარგში მდგომარეობის გაუჯანსაღებლობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ მრავალმა დაწყებითმა, არასრულმა საშუალო და საშუალო სკოლამ შეაფასა სწავლების სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან დაკავშირების საქმეში სასკოლო მიწის ნაკვეთების დიდი მნიშვნელობა და განსახკომის დირექტივების საფუძველზე კარგად მოაწყო ამ ნაკვეთებზე ძოსწავლეთა საცდელი მუშაობა.

სასკოლო მიწის ნაკვეთების მოვლა-დამუშავების დარგში განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები მოგვცა ჭოპორტისა და ბაზალეთის (დუშეთის რ.), ჩიბათისა (ლანჩხუთის რ.), იგოეთის (კასპის რ.), თბილისის 23-ე, ოფშვეთის, საყულიის, კვახჭირის და ბეგუთის (ქუთაისის რ.), ცხუნკურის, უკანეთის (წყალ-ტუბოს რ.), თერჯოლის საშუალო, სიქთარვისა და ღვანკეთის არასრულ-საშუალო (ჩხარის რ.), კოტიანეთისა და ზხეფის არასრულ საშუალო, ნოსირის, ნაქალაქევის და ძველი სენაკის (ცხაკაიას რ.), მეორე სორტის დაწყებით (ცხაკაიას რ.), ტიბაანის და ვაქირის (სიღნაღის რ.), წინანდლის (თელავის რ.), ალისა და ქვიშხეთის (ხაშურის რ.) საშუალო და სხვ. სკოლებმა.

ამ სკოლებმა მიწის ნაკვეთები დროულად შემოღობეს, დაგეგმეს, ნიადაგი გადაბარეს და გაანოყიერეს, საუკეთესოდ უვლიდნენ ნათესებსა და ნარგავებს, აკვირდებოდნენ მათ ზრდა-განვითარებას და აწარმოებდნენ საცდელ მუშაობას.

სკოლის მიწის ნაკვეთზე მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბუნებისმეტყველო დისციპლინების პროგრამებით გათვალისწინებული კურსის შესწავლასთან და ამის შედეგად ამ სასწავლო დისციპლინაში მოსწავლეებმა საფუძვლიანი და მტკიცე ცოდნა მიიღეს.

ამასთან ერთად, ამ სკოლებმა მიწის ნაკვეთებიდან კარგი მოსავალი აიღეს და მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება გაუწიეს სკოლებში ჩაბმულ წითელ-არმიელთა შვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ დარგში სახალხო განათლების განყოფილებათა სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად, საქართველოს სსრ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების უმრავლესობას სასკოლო მიწის ნაკვეთები გამოყოფილი არ ქონდა, ხოლო ნაკვეთის მქონე მრავალი სკოლა მიწის ნაკვეთს ვერ უვლიდა და ვერ იყენებდა მას სასწავლო მიზნებისათვის.

მიწის ნაკვეთები 1942 წელში ადიგენის რაიონში არცერთ სკოლას არ გააჩნდა. მიწის ნაკვეთები არ ქონდათ აგრეთვე გამოყოფილი ზნაკვის, ნამანევნის საშუალო სკოლებს (ამბროლაურის რ.), ფარცხანაყანევის არასრულ საშუალო სკოლას (წყალტუბოს რ.), ვანის, ყუმისის, სულორის, ზედა-ბზვანის, ძულუხის საშუალო სკოლებს (ვანის რ.), ურთის, ზუგდიდის და მე-2 საშუალო სკოლებს (ზუგდიდის რ.), ქე. ხანდაკის, ნიგოზის, ხვითას არასრულ საშუალო სკოლებს, კასპის, აღაიანის საშუალო სკოლებს (კასპის რ.), ხიდისთავის არასრულ საშუალო სკოლას, ოხერას დაწყებით სკოლას (გორის რ.), ლაგოდეხის ქართულ საშუალო სკოლას, თელას არასრულ საშუალო სკოლას (ლაგოდეხის რ.), ლიუქსემბურგის საშუალო და სხვა მრავალ სკოლას.

მიწის ნაკვეთები არა აქვთ შემოღობილი და დამუშავებული კესარლინსკის საშუალო სკოლას (ყარაიაზის რ.) ქე. ჭალისა და კავთისხევის საშუალო სკოლებს (კასპის რ.), არაშენდასა და კაჭრეთის საშუალო სკოლებს (გურჯაანის რ.), საძელის არასრულ საშუალო სკოლას (ახალციხის რ.), გვიშტიბის, გუმბრინის არასრულ საშუალო სკოლებს, ფარცხანაყანევის და წყალტუბოს საშუალო სკოლებს (წყალტუბოს რ.) და სხვ.

ასპინძის, ახალქალაქის, მაიაკოვსკის, ბორჯომის, გეგეჭკორის, დუშეთის, ვანის, თელავის, თიანეთის, ყვარელის, სიღნაღის, ზუგდიდის და ზოგი სხვა რაიონის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს სასკოლო მიწის ნაკვეთების გამოყოფისა, დამუშავებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ ცნობების წარმოდგენის დარგში, მათ მიერ ცნობები დღემდე არაა წარმოდგენილი განსახკომში.

სასკოლო მიწის ნაკვეთების გამოყოფა, შემოღობვა, დაგეგმვა-დამუშავებაში არსებულ ჩამორჩენების ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

დაევალოს სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

1. დასვან საკითხი სამოწამთმქმედო ორგანოების წინაშე და მ/წლის 25 თებერვლამდე უზრუნველჰყონ საცდელი მიწის ნაკვეთის გამოყოფა იმ სკოლისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ დღემდე ასეთი.

2. სამიწათმოქმედო ორგანოებთან ერთად უზრუნველჰყონ თესლით და ნერგებით სკოლების მომარაგება. მიიღონ გადაწყვეტილება ზომები და შესაფერი ნიადაგზე დააყენონ სასკოლო მიწის ნაკვეთების მოვლისა და დაცვ ს საქმე.

3. გაზაფხულის პერიოდში პირადად შეამოწმონ სასკოლო მიწის ნაკვეთების შემოღობვა-დაცვისა და საგაზაფხულო თესვისათვის სამზადისის მდგომარეობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რათა სასკოლო ნაკვეთები საუკეთესოდ იქნეს დამუშავებული და მოსწავლეთა მუშაობა ნაკვეთებზე მტკიცედ იყოს დაკავშირებული სასწავლო-საალმზრდელო მიზნებთან.

4. არ დაუშვან სასკოლო მიწის ნაკვეთზე მოსწავლეთა მუშაობის გამო ცალკე სასწავლო დისციპლინებში ოფიციალური პროგრამების გაფლის შეფერხება და მეცადინეობის ნორმალური მსვლელობიდან გადახვევა.

5. სკოლების მუშაობის ყოველი გამოკვლევისას შეამოწმონ სასკოლო მიწის ნაკვეთების დამუშავების, მოვლისა და დაცვის მდგომარეობა, ამ დარგში შემჩნეულ დეფიქტების აღსაკვეთად დაუყონებლივ გაატარონ ადგილზეე კონკრეტული ღონისძიებანი.

§ 2

დაევალოს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებსა და გამგეებს:

1, დროულად შემოღობონ მიწის ნაკვეთი, დაგეგმონ, დაბარონ, გაანოყიერონ, დათესონ და დარგან შერჩეული თესლები და ნერგები, მოაწესრიგონ დათესილისა და დარგული, მეთვალყურეობა, მოვლა და დაცვა.

2. სკოლის საცდელ ნაკვეთზე მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობა მტკიცედ დაუკავშირონ ბიოლოგიის, ქიმიის და გეოგრაფიის პროგრამების კურსს სათანადო თავებში გათვალწინებული თეორიუმასალის შესწავლას და არ დაუშვან ამ მუშაობის სკოლის სასწავლო საალმზრდელო ამოცანებიდან ძოწყვეტა.

3. გააპიროვნონ ნარგავები და კვლები ცალკე მოსწავლეებსა და მოსწავლეთა რაზმებზე, საგაზაფხულო და საზაფხულო არდადეგების დროს დაიწესონ ადგილზე დარჩენილ მოსწავლეების მორიგეობა ნაკვეთზე, ნაკვეთის მოვლის საქმეში გამოიყენონ სკოლის ტექნიკური პერსონალი და არ დაუშვან ნარგავებისა და ნათესების დაზიანება.

§ 3

მიმდინარე წლის 25—26 თებერვლის რიცხვებში ყველა რაიონში მოეწყოს სკოლის დირექტორებისა და ბიოლოგიის მასწავლებლების ერთდღიანი თათბირი, თათბირზე განხილულ იქნეს შემდეგი საკითხები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სასწავლო-საცდელი ნაკვეთის მნიშვნელობა სკოლისათვის,

ბ) სკოლის სასწავლო ნაკვეთის მოწყობა,

გ) ნაკვეთზე მუშაობის შინაარსი (კლასების მიხედვით),

დ) მოსწავლეთა მუშაობის ორგანიზაცია სასწავლო მიწის ნაკვეთზე,

ე) სასწავლო მიწის ნაკვეთზე მუშაობის აღრიცხვა,

ვ) მოსავლის აღრიცხვა-განაწილება.

§ 4

სასკოლო მიწის ნაკვეთზე მუშაობის აღრიცხვის საქმის მოწესრიგების მიზნით:

ა) დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) საანგარიშო მოხსენება წარუდგინონ სახალხო განათლების განყოფილებებს ყოველი წლის მარტის, ივნისისა და ნოემბრის 20 რიცხვებისათვის, ამ ბრძანებასთან თანდართული კითხვარის მიხედვით.

ბ) ასევე, სახალხო განათლების განყოფილებების გამგეებმა სკოლებიდან წარმოდგენილ მასალების ეჯამების საფუძველზე წარუდგინონ განათლების სახალხო კომისარიატს ყოველი წლის აპრილის, ივლისის და დეკემბრის თვეების 1-ლი რიცხვისათვის საანგარიშო მოხსენება ამ ბრძანებასთან თანდართული კითხვარის მიხედვით.

§ 5

სასკოლო მიწის ნაკვეთების მოვლა-დამუშავების დარგში სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) და ბიოლოგიის მასწავლებლებმა მტკიცედ იხელმძღვანელონ შემდეგი ოფიციალური დოკუმენტებითა და მეთოდური ლიტერატურით:

1. განათლების სახალხო კომისარიატის 1940 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით, სოფლის სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (იხილე სკოლის შესახებ არსებულ დადგენილებათა და სახელმძღვანელო განკარგულებათა კრებული გვ. 120—126, თავი—7).

2. საქართველოს სსრ განსაჯკომისა და სკოლის კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის საინსტრუქციო მეთოდური წერილით „სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი“ (1941 წელი, სახელგამის გამოცემა).

3. საქართველოს სსრ განსაჯკომის ინსტრუქციით „სასკოლო ნაკვეთების მოვლისა, აორიცხვისა და განაწილების შესახებ“ (სახელგამის გამოცემა, 1942 წ.).

კითხვარი ანგარიშის წარმოდგენის შესახებ თან ერთვის.

საფუძველი: სსრ განსაჯკომის კოლეგიის 1943 წლის 17-თებერვლის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვარი სასკოლო ნაკვეთების შესახებ

სკოლების მიერ სახალხო განათლების განყოფილებისათვის ყოველი წლის 20 მარტს წარსადგენ მოხსენებისათვის.

სკოლის მისამართი—დირექტორი, ბიოლოგიის მასწავლებელი (გვარი, სახელი), მიწის ნაკვეთის ფართობი ჰექტარებში, არის თუ არა ნაკვეთი შემოღობილი, დაგეგმილი, დამუშავებული, დათესილი, განოყიერებული. რა და რა კულტურებია დათესილი, რომელი კულტურაა წამყვანი. არის თუ არა კულტურები გაპირონვნებული ცალკეულ მოსწავლეებზე ან ბრიგადებზე. რა უშლის ხელს კულტურების ნორმალურად ზრდა-განვითარებას.

კითხვარი სასკოლო ნაკვეთების შესახებ სკოლების მიერ განათლების განყოფილებისათვის ყოველი წლის 20 ივნისს წარსადგენი მოხსენებისათვის.

სკოლის მისამართი: დირექტორი (გვარი, სახელი).

ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს დათესილი კულტურების ზრდა-განვითარება, თუ უშლის რამე მას ხელს (გვალვა, ღრუბლიანობა, ხშირი წვიმები, ქარი, მავნებლები და სხვა). უზრუნველყოფილია თუ არა მიწის ნაკვეთის კულტურების მოვლა-პატრონობა; დაცულია თუ არა სათანადო აგრო-წესები. საერთოდ როგორი პირი უჩანს მოსავალს. რომელმა კულტურებმა უკვე მოგვცა მოსავალი და რა რაოდენობით.

კითხვარი სასკოლო ნაკვეთების შესახებ სკოლების მიერ განათლების განყოფილებისათვის ყოველი წლის 20 ნოემბერს წარსადგენი მოხსენებისათვის.

სკოლის მისამართი, დირექტორი (სახელი, გვარი).

რა და რა კულტურები იყო დათესილი და რა ფართობი ჰქონდა დაკავებული თითოეულ მათგანს. რომელმა კულტურამ მოგვცა კარგი მოსავალი, რადარა აგროწესები იყო გამოყენებული. როგორი იყო მოსწავლეთა აქტივობა. მიწის ნაკვეთზე მუშაობა იყო თუ არა წარმართული სწავლა-აღზრდის მიზნების შესაბამისად, რა მნიშვნელოვანი ცდები იყო დაყენებული ბიოლოგიიდან. მოსავლის აღრიცხვა-განაწილება და ანგარიშგება ხდება განსაკრძალ მიერ მოწოდებულ ფორმების მიხედვით (იხ. „საქართველოს სსრ განსაკრძალ ინსტრუქცია სასკოლო ნაკვეთების მოსავლის აღრიცხვისა და განაწილების შესახებ“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ნაკლი და დადებითი მხარეები ახასიათებს მიწის ნაკვეთზე მუშაობას და რა ზომებია მიღებული შეჩნეული დეფექტების გამო-სწორებისათვის. რამდენი %-ით შესრულდა ნავარაუდევი მოსავალი.

სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა ყოველი წლის აპრილის, ივლისის და დეკემბრის პირველ რიცხვებისათვის უნდა შეაჯამონ სასკოლო მიწის ნაკვეთების შესახებ სკოლების მიერ წარმოდგენილი ცნობები აქ დართული კითხვარების მიხედვით და მოხსენებითი ბარათი გადმოგზავნონ განსახკომში. წარმოსადგენ მოხსენებითი ბარათებში გარკვეულად უნდა იყოს ნაჩვენები.

I. 1-აპრილისათვის:

1. რამდენ სკოლას გააჩნია მიწის ნაკვეთი და რა ფართობის რაოდენობით (ჰექტარებში), მათ შორის დაწყებითი სკოლას . . . . არასრულ საშუალო სკოლას . . . . საშუალო სკოლას.

2. რამდენ სკოლას აქვს მიწის ნაკვეთი შემოღობილი, დაგეგმილი, დამუშავებული, განოყიერებული.

3. რა კულტურებია დათესილი და რამდენი ფართობი უჭირავს თითოეულ მათგანს.

4. რამდენ სკოლაშია კულტურების მოვლა-დაცვის საქმე სათანადოდ ორგანიზებული (დაასახელეთ სკოლები).

5. რამდენ სკოლაშია კულტურები გაპიროვნებული ცალკე მოსწავლეებზე, ან ბრიგადებზე.

6. ამ დარგში ჩამორჩენილ სკოლებს რა უშლის ხელს მიწის ნაკვეთების წესიერად დამუშავება-მოვლის საქმეში.

II. 1-ივლისისათვის:

1. რამდენ სკოლაში მიმდინარეობს დათესილი კულტურების ზრდა-განვითარება ნორმალურად და რამდენში—არა და რა მიზეზებით.

2. რამდენ სკოლაშია სათანადოდ მოწესრიგებული მიწის ნაკვეთების მოვლა და დაცვა (დაასახელეთ სკოლები).

3. რამდენ სკოლაშია სანიმუშოდ გამოყენებული აგროწესები.

4. რამდენ სკოლაში უჩანს კარგი პირი მოსავალს.

5. რამდენ სკოლაში მოგვცა უკვე მიწის ნაკვეთმა მოსავალი, რა სახისა და რა რაოდენობით.

III. 1-დეკემბრისათვის:

2. რამდენ სკოლას აქვს მიწის ნაკვეთი და რამდენს არა აქვს, აქედან დაწყებითს, არასრულ საშუალოს და საშუალო სკოლას ცალ-ცალკე ფართობის ჩვენებით ჰექტარებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. რომელი კულტურაა წამყვანი რაიონის მასშტაბით და რა ფართობი აქვს დაკავებული.

3. რომელმა კულტურებმა მოგვცა კარგი მოსავალი.

4. რამდენ სკოლაში იყო თეორიული სწავლება მჭიდროდ დაკავშირებული მიწის ნაკვეთებზე მუშაობასთან.

5. რამდენ სკოლაში იყო მნიშვნელოვანი დაკვირვებები და ცდები წარმოებული ბიოლოგიიდან.

6. რამდენმა და რომელმა სკოლამ მოგვცა მიწის ნაკვეთზე კარგი მუშაობის ნიმუში.

7. რა ზომებია მიღებული სახალხო განათლების განყოფილების მიერ მიწის ნაკვეთზე მუშაობაში შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად.

8. რამდენ სკოლაში შეამოწმა განათლების განყოფილებამ წლის განმავლობაში მიწის ნაკვეთებზე წარმოებულ მუშაობის მსვლელობა და რა ღონისძიებანი დასახა შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

სახალხო განათლების განყოფილებებმა ამ კითხვების მიხედვით შედგენილ მოხსენებითი ბარათს უნდა დაურთონ მიწის ნაკვეთებზე მოსავლის აღრიცხვისა და განაწილების შესახებ შევსებული ფორმა (იხ. „საქართველოს სსრ განსახკომის ინსტრუქცია სასკოლო ნაკვეთის მოსავლის აღრიცხვისა და განაწილების შესახებ").

დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსი
უ. ოგბოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეაქართველოს ალკა ც.კ-ის, საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის, მიწსახკომის და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ც.კ-ის გაერთიანებული

დადგენილება

1943 წელი 27 თებერვალი.

ზაფხულის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში საქართველოს სსრ არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისა, მასწავლებლებისა, მოსწავლეებისა, საქ. ალკა რაიკომებისა, სახალხო განათლების განყოფილებებისა და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომების უკეთ მონაწილეობის შესახებ 1942 წელში არსებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისა და გაგრძელების შესახებ 1943 წლისათვის.

1. ზაფხულის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში საქართველოს სსრ-ში არასრული საშუალო და საშუალო სკოლების, მასწავლებლების, მოსწავლეების, ალკა რაიკომების, სახალხო განათლების განყოფილებების და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომების უკეთ მონაწილეობის შესახებ 1942 წელში არსებული სოციალისტური შეჯიბრების პირობები გაგრძელებული იქნეს 1943 წლისათვის.

2. სოცშეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის გამოიყოს რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. გ. ცქიტიშვილი—საქართველოს ალკა ც.კ-ის მდივანი (თავმჯდომარე), 2. გ. კიკნაძე—საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი, 3. გ. ალავიძე—საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე, 4. გ. ბარამიძე—დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის საქართველოს ცეკას თავმჯდომარე, 5. ნ. ჟვანია—საქართველოს ალკა ც.კ-ის მდივანი, 6. უ. ობოლაძე—საქ. განათლების კომისარიატის დაწყ. და საშ. სკოლების სამმართველოს უფროსი, 7, ა. ბექაური—საქ. ალკა ც.კ-ის გლეხთა ახალგაზრდობის განყოფილების გამგე.

3. დაევალოს ალკა რაიკომებს, სახალხო განათლების განყოფილებებს, რაიონულ მიწგანებსა და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომებს ჩაატარონ ფართო ახსნაგანმარ-

ტებითი მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობასა და მასწავლებლებს შორის, ჩაბაბან რაიონში არსებული ყველა სკოლა, მასწავლებლები და მოსწავლე სოციალისტურ შეჯიბრებაში და სისტემატურად უხელმძღვანელონ მოსწავლეთა მუშაობას მინდვრად.

4. სოცშეჯიბრების რესპუბლიკურმა კომისიამ გაუწიოს სისტემატური ხელმძღვანელობა სოცშეჯიბრების მიმდინარეობის საქმეს ადგილებზე და ხელშეკრულებაში დაწესებულ ვადებში დააჯამოს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

5. დაევალოს ალკკ-ს რაიკომებს, სახალხო განათლების განყოფილებებს, რაიონულ მიწგანებსა და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომებს გულდასმით შეისწავლონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების მონაწილეობა და შეჯამებული შედეგები სოცშეჯიბრების პირობების მიხედვით დაწესებულ ვადებში წარმოუდგინონ საქართველოს ალკკ ცეკას, საქართველოს სსრ განსახკომს, საქართველოს სსრ მიწსახკომსა და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ც.კ-ის.

საქ. ალკკ. ც.კ-ის მდივანი **გ. ცქიტიშვილი**	საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე **გ. ალავიძე**
საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი **გ. ძიკნაძე**	დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს ც.კ-ის თავმჯდომარე **გრ. ბარამიძე**

1943 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობისათვის საქ. ალკკ რაიკომების, სახალხო განათლების განყოფილებების, სკოლების, მასწავლებლების და მოსწავლეთა სოცშეჯიბრების პირობები

I. საქ. ალკკ რაიონული კომიტეტებისა და სახალხო განათლების განყოფილებებისათვის:

სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან საქართველოს ალკკ რაიკომები და საქართველოს სსრ რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები, რომელნიც:

1. მიაღწევენ რაიონის მასშტაბით თითოეულ მოსწავლეზე უფრო მეტი შრომა დღის გამომუშავებას კოლმეურნეობებში და შრომითი ნორმების გამომუშავებას საბჭოთა მეურნეობებში, მუშაობის სათანადო ხარისხის დაცვით.

2. საუკეთესოდ მოაწყობენ მასწავლებელთა სემინარებს და უზრუნველჰყოფენ მათ მომზადებას სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისათვის.

3. კონკრეტული ხელმძღვანელობითა და სისტემატური დახმარებით უზრუნველჰყოფენ მოსწავლეთა მომზადებას (მანქანა-იარაღებისა და აგროწესების შესწავლა) მათთვის განკუთვნილი სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის.

4. რაიმიწგანთან შეთანხმებით კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებათა საფუძველზე დროულად გაანაწილებენ სკოლებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ორგანიზებულად მონაწილეობის მისაღებად და უზრუნველჰყოფენ ამ მუშაობის წარმატებით შესრულებას.

5. გაუწევენ ხელმძღვანელობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამხედრო-ფიზკულტურულ და სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დაყენებას და კონკრეტული დახმარებით უზრუნველჰყოფენ ამ საქმეში მასწავლებელთა და მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმას.

6. სისტემატურად შეამოწმებენ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მოსწავლეთა რაზმების მუშაობას, ყოველთვიურად შეაჯამებენ ჩატარებულ მუშაობას და გაატარებენ ღონისძიებებს მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

2. სკოლებისათვის:

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლება იმ სკოლების კოლექტივები, რომელნიც:

1. უფრო მეტი რაოდენობით გამოიმუშავებენ ყოველ თითოულ მოსწავლეზე შრომა-დღეს კოლმეურნეობაში და შრომითი ნორმებს საბჭოთა მეურნეობებში, მუშაობის სათანადო ხარისხის დაცვით.

2. საუკეთესოდ ჩაატარებენ მოსწავლეთა (მე-6—10 კლასების) მიერ აგრომინიმუმის შესწავლას, მოსწავლეთა რიგებიდან ტრაქტორისტების მომზადებას და მოახდენენ სასოფლო სამეურნეო სამუშაოებში მათ ორგანიზებულად ჩაბმას.

3. რაიმიწგანებისა, კოლმეურნეობების გამგეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სატრაქტორო სადგურების დირექტორებთან მჭიდრო კავშირის დამყარებით წინასწარ გამოარკვევენ აღნიშნულ მეურნეობებში შესასრულებელ სამუშაოების ხასიათს; მუშა-ხელის საჭიროებას და მის საფუძველზე შეადგენენ სკოლის მუშაობის კონკრეტულ გეგმას ამ დარგში.

4. საუკეთესოდ მოაწყობენ სააგიტაციო-საპროპაგანდო და სამხედრო ფიზკულტურულ მუშაობას; ჩამოაყალიბებენ აგიტპუნქტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩაამბენ მასში მომზადებულ აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს, მიაწოდებენ კოლმეურნეებს ჟურნალ-გაზეთებს, მოაწყობენ საუბრებს, გაზეთების ხმამაღალ კითხვას და სხვა.

5. უხელმძღვანელებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბავშვო ბაღების, ბაგების და მოედნების ჩამოყალიბების საქმეს და გამოყოფენ საუკეთესო მოსწავლე ქალებს აღმზრდელებად და ხელმძღვანელებად.

6. მოზრდილ მოსწავლეთა ძალებით სანიმუშოდ დაამუშავებენ და მოუვლიან სასკოლო მიწის ნაკვეთს, მოიყვანენ მაღალ მოსავალს და შექმნიან მტკიცე ბაზას მოსწავლეთა კვების გასაუმჯობესებლად.

3. მასწავლებლებისათვის:

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის მასწავლებლები, რომლებიც:

1. გამოიმუშავებენ უფრო მეტ შრომა-დღეებს კოლმეურნეობებსა და შრომითი ნორმებს საბჭოთა მეურნეობებში, მუშაობის სათანადო ხარისხის დაცვით.

2. მოსწავლეთა რაზმისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე მოაწყობენ მუშაობას ორგანიზებულად, დაიცავენ სასკოლო დისციპლინას, უზრუნველჰყოფენ მოსწავლეთა სამუშაოზე დროულად გამოცხადებას და მაღალ ხარისხოვნად შეასრულებენ სამუშაოების ყოველდღიურ ნორმებს.

3. იზრუნებენ მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და ჰიგიენის დაცვისათვის, ორგანიზებულად მოაწყობენ დასვენებას მოსწავლეთათვის, სხვადასხვა სახის ფიზიკურ ვარჯიშებს და გასართობებს.

4. სანიმუშოდ მოაწყობენ საგიტაციო-საპროპაგანდო და სამხედრო-ფიზკულტურულ მუშაობას და კოლმეურნეთა კულტმომსახურეობას.

5. აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბავშვო ბაღის, კერისა და მოედნების ჩამოყალიბების და მათს მუშაობის საქმეში.

4. მოსწავლეთა რაზმებისა და მოსწავლეთათვის:

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან მოსწავლეთა ის რაზმი და ცალკეული მოსწავლეები, რომელნიც:

1. გამოიმუშავებენ უფრო მეტ შრომა-დღეებს კოლმეურნეობებში და შრომითი ნორმებს საბჭოთა მეურნეობებში და მაღალი ხარისხით შეასრულებენ სამუშაოს.

2. ზუსტად დაიცავენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებულ შრომითი რეჟიმს, სრული დატვირთვით იმუშა-

ვებენ მათთვის დაწესებულ დროის განმავლობაში და ბეჯითად შესასრულებენ მასწავლებლის, რაზმის ხელმძღვანელის მითითებებს და დავალებებს.

3. სანიმუშოდ დაიცავენ დისციპლინას მინდვრებზე მუშაობის პროცესში, სასადილოში, საერთო საცხოვრებელში და თავის ქცევით მისცემენ მაგალითს სხვა მოსწავლეებს დისციპლინის სანიმუშოდ დაცვის საქმეში.

4. გაუფრთხილდებიან მათზე გაპიროვნებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და აქტიურ დახმარებას გაუწევენ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს სახალხო ქონების მოვლა-დაცვის საქმეში.

5. აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეთა შორის სააგიტაციო-საპროპაგანდო, სამხედრო-ფიზკულტურულ და კულტურულ მუშაობაში.

5. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დაჯილდოება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდეს შემდეგი სახის პრემიები:

1. საქ. ალკკ რაიკომებისა, სახალხო განათლების განყოფილებების და სკოლებისათვის, საქართველოს ალკკ ც.კ-ის, საქართველოს სსრ მიწსახკომის, საქართველოს სსრ განსახკომისა და დაწყებითი და საშუალო სკოლების კავშირის ც.კ-ის ორი გარდამავალი წითელი დროშა.

2. მასწავლებელთა, მოსწავლეთა რაზმებისა და მოსწავლეთათვის საპატიო სიგელები და პრემიები, სულ 25 პრემია, 1 ხარ. 5, 2 ხარისხის—10 და 3 ხარისხისა—10.

ამას გარდა ის სკოლები, რომლებიც საუკეთესოდ შეასრულებენ შეჯიბრების პირობებს წარდგენილნი იქნებიან საკავშირო ჯილდოზე.

საქ. ალკკ ც.კ-ის მდივანი გ. ცქიტიშვილი	საქ. სსრ მიწათმოქმედების სახკომისარი ს. ხოშტარია
საქ. სსრ განათ. სახ. კომისარი გ. კიკნაძე	საქ. დაწყ. და საშ. სკ. მუშაკთა პროფკავშირის ც.კ. თავ-რე გ. ბარაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

_____ რაიონი

ცნობა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ 1943 წ. „____" _____ თვ

სათბობი მასალით მომარაგება				სკოლის შენობის რემონტი				ახალი მერხების შეძენა		ახალი დაფების დამზ.		ახალი მაგიდების შეძენა		კაბინეტების შეძენა ბანეთებში							
შეშა		ქვანახშირი																			
გეგმით კუბომეტრი	შესრულება კუბომეტ.	გეგმით ტონნებში	შესრულება ტონნებში	საერემონტო სკოლების რიცხვი	რემონტის ღირებულება გეგმით (მან.)	შესრ. საანგარიშო რიცხვისათვის (მან.)	რამდენ სკოლას გაუკეთდა რემონტი	გეგმით—ცალი	შესრულება—ცალი	გეგმით—ცალი	შესრულება—ცალი	გეგმით—ცალი	შესრულება—ცალი	ფიზიკის	ქიმიის	ბიოლოგიის	გეოგრაფიის	მათემატიკის		შეძენილი იქნა ბიბ-ლიოთეკები (მან-ში)	

განათ. განყ. გამგე

სტატისტიკოსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 861

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

10 მარტი 1943 წელი.

1943—44 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ.

აღვნიშნავ, რომ ომის შედეგად შექმნილი სიძნელეების მიუხედავად გასულ წელს აბაშის, ზესტაფონის, ზუგდიდის, გურჯაანის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჭიათურის, ქუთაისის და ზოგიერთ სხვა რაიონში სახალხო განათლების ორგანოებმა და სკოლებმა საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების საქმეში დიდი მუშაობა ჩაატარეს და შესძლეს სკოლაში ჩაებათ სასკოლო ასაკის ბავშვთა უდიდესი ნაწილი. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების დარგში ამ წარმატებებს იმის შედეგად მიაღწიეს, რომ დასახელებული რაიონების განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა საუკეთესოდ ჩაატარეს 1942—43 სასწავლო წლისათვის მზადება: დროზე შეაკეთეს სასკოლო შენობები, დროულად მოზიდეს მთელი ზამთრის განმავლობაში საჭირო სთბობი; სკოლებს გამოუყვეს მიწის ნაკვეთები და ნაკვეთებიდან აღებული მოსავლიდან შექმნეს ფრონტელთა შვილებისათვის დახმარების ფონდები, ფართოდ გამოიყენეს ადგილზე არსებული საშუალებანი და წითელარმიელთა შვილებსა და მრავალსულიანი ოჯახის ბავშვებს გაუწიეს დახმარება ფეხსაცმელითა და ტანსაცმელით, სახელმძღვანელო წიგნებითა და სასწავლო ნივთებით; რაიონული ორგანიზაციები სისტემატურად ზრუნავდნენ მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და უქმნიდნენ მასწავლებლებს პირობებს მუშაობისათვის.

მაგრამ საერთოდ რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმე 1942—43 სასწავლო წელში მეტად ჩამორჩა. დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებიდან განთესილ ბავშვთა რაოდენობა დიდია.

სკოლებიდან მოსწავლეების ჩამოცილებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ლუქსემბურგის, ყარაიაზის, ქარელისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. ამ რაიონების სკოლებში სასწავლო მეცადინეობას მრავალი მოსწავლე აკლდება, და არის შემთხვევები, რომ სკოლაში მოსწავლეების გამოუცხადებლობის გამო, მეცადინეობა მთელი კვირობით ცდება.

ამგვარი არანორმალური ჩამორჩენა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების დარგში, არის იმის პირდაპირი შედეგი, რომ ზოგიერთ რაიონში მოსწავლეების სკოლებიდან ჩამოცილების ძირითად მიზეზად ომიანობის დრის სირთულეს თვლიან და არ ღებულობენ სათანადო ზომებს იმ მიმართულებით, რათა ბავშვების სკოლებში ჩასაბმელად ყველა საჭირო პირობები ადგილზეეე შეიქმნას.

ასეთი განწყობილების უშუალო შედეგია ის, რომ ბორჩალოს, ბაშკიჩეთის, ყვარელის და ზოგიერთ სხვა რაიონში სათბობის უქონლობის გამო მრავალ სკოლაში მთელი კვირეების განმავლობაში ცდებოდა მეცადინეობა.

გასული სასწავლო წლის დასაწყისში ზოგიერთი სკოლის შენობა მიმდინარე შეკეთების გარეშე დარჩა, სახურავიდან წვიმა ჩამოდის, შეუკეთებელია კარ-ფანჯრები, ღუმელები, სასკოლო ინვენტარი. ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, ადიგენის, ბორჩალოს, ყარაიაზის და სხვა რაიონში ფრონტელთა შვილებისადმი დახმარება, ეს უდიდესი პატრიოტული საქმე, სათანადოდ არ იყო მოწესრიგებული; მაგალითად, ლუქსემბურგის და ბორჩალოს რაიონებს ყველა საშუალება გააჩნდათ იმისათვის, რათა სკოლებისათვის მიწის ნაკვეთები გამოეყოთ და ფრონტელთა შვილების დასახმარებლად სასურსათო ფონდები შეექმნათ, მაგრამ ამ რაიონებში ფრონტელთა შვილებისადმი დახმარებაზე დროულად არ იზრუნეს.

მრავალ რაიონში მივიწყებულია ზრუნვა მასწავლებლებზე: წალკისა და მცხეთის რაიონების ზოგიერთ სოფელში მასწავლებლებს საცხოვრებელ ბინებს არ აძლევენ; თელავის, მცხეთის, გუდაუთის, ხობის, წალკის, ბაშკიჩეთის რაიონებში დაწესებულ ნორმის პურს მასწავლებლები დიდი დაგვიანებით და ზოგჯერ დანაკლისით ღებულობენ; სოფლის მასწავლებლებს არ ეძლევათ პრივილეგიათ საჭიროების საგნები; საგარეჯოს, ლაგოდეხის, ქარელის, მაიაკოვსკის, წალენჯიხის, ყვარელის რაიონებში მასწავლებელთა ხელფასის გაცემას თვეობით აგვიანებენ.

ამ მიზეზებით აიხსნება ის დაუშვებელი ჩამორჩენა, რასაც მიმდინარე სასწავლო წელს აქვს ადგილი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში. **ვბრძანებ:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილებათა გამგეები და სკოლების დირექტორები სათავეში ჩაუდგნენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის ცხოვრებაში ურყევად გატარების საქმეს, ძირითად ამოცანად დასახონ 1940 – 41 სასწავლო წელში დაწყებითი, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში მყოფი მოსწავლეების შენარჩუნება და პირველი კლასის ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმა სწავლებაში. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად:

1. 1943 წლის 1 ივნისამდე ჩატარდეს 1940 – 41 სასწავლო წლიდან სკოლებიდან ჩამოშორებულ მოსწავლეთა აღრიცხვა, და 1942 – 43 სასწავლო წლისათვის დამტკიცებული ქსელის საფუძველზე შედგეს აღრიცხულ ბავშვების სათანადო კლასებში ჩაბმის კონკრეტული გეგმა. ამასთან ერთად, ზუსტად აღირიცხოს 1-ლ, მე-5 და მე-8 კლასებში ჩასაბმელი ბავშვები და ახალი სასწავლო წლიდან უზრუნველჰყოფილი იქნეს ყველა მათგანის გაერთიანება სკოლებში.

2. 1-ლ ივნისამდე დაზუსტდეს წითელარმიის რიგებში გაწვეულთა და მრავალშვილიან მშობელთა ბავშვების სიები, საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი მათი საცხოვრებელი პირობები (ბინა, კვება, ტანსაცმელი და სხვ.) და რაიონულ ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად ამ თაეთვე დასახონ ღონისძიებანი მათთვის ტანსაცმელით, ფეხსაცმელით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით და სხვა სახის დახმარების აღმოჩენისათვის.

3. განათლების განყოფილებანი დაუკავშირდნენ სარეწაო საბჭოს და კოოპინკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებს და მიაღწიონ იმას, რომ ფეხსაცმელის შემკეთებელ სახელოსნოებში პირველ რიგში ეწყობოდეს მოსწავლეთა ფეხსაცმელების შეკეთება.

4. სკოლებმა ზაფხულის არდადეგების პერიოდში მჭიდრო კავშირი იქონიონ საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან. გამოუყონ მათ სამეცადინოდ საკლასო ოთახები, კაბინეტები, სახელმძღვანელოები, მოაწყონ ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობა და უზრუნველჰყონ საშემოდგომო გამოცდაზე ბავშვების მომზადებულად გამოცხადება.

5. აღიკვეთოს მოსწავლეებისათვის საბუთების ხელზე მიცემის პრაქტიკა და მტკიცედ იქნეს დაცული საქართველოს სსრ განსახკომის ინსტრუქცია მოსწავლეთა სკოლიდან სკოლაში გადაყვანისა და მოძრაობის შესახებ.

6. ვინაიდან სამამულო ომის პირობებით გამოწვეულ სიძნელეებთან დაკავშირებით 1943—44 სასწავლო წლისათვის ახალი სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა ძალზე ფერხდება და მომავალ წელს მოსწავლეები ძირითადად უნდა იქნენ დაკმაყოფილებული

ლი გასულ წლებში გამოცემულ ხმარებაში მყოფ სტაბილური სანელ-
მძღვანელო წიგნებით, განათლების განყოფილებებმა და სკოლების
დირექტორებმა (გამგეებმა) განსაკუთრებული სერიოზულობითა და
პასუხისმგებლობით მოჰკიდონ ხელი ნახმარი სახელმძღვანელობის
შესყიდვის საქმეს და მიიღწიონ ყველა სტაბილურ სახელმძღვანელო
წიგნის შეგროვება-შესყიდვას.

7. 25 მარტამდე დაზუსტდეს იმ სასკოლო შენობების რაო-
დენობა, რომლებსაც ესაჭიროება აუცილებელი რემონტი (სახურავი,
ჭერი, კედელი, იატაკი, ფანჯრები, ღუმელები), შედგეს თითოეულ,
მათგანზე საფანადო ხარჯთაღრიცხვა და ადგილობრივ ხელმძღვანელ
ორგანოების დახმარებით გამოინახოს საჭირო რაოდენობით საშენი
მასალა. სკოლების შენობების რემონტის დამთავრება უზრუნველ-
ყოფილი იქნეს 1-ლ ივლისამდე. სკოლების შენობების შეკეთების
საქმეში ფართოდ იქნენ ჩაბმული მოზრდილი მოსწავლეები და
მშობლები.

8. ამ თავითვე გამოინახოს საჭირო საშენი მასალა და პირველ
რიგში შეკეთდეს ის სასკოლო შენობები, რომლებიც დაუბ-
რუნდა სკოლებს, შეკეთდეს აგრეთვე სასკოლო ინვენტარი, სრულ
წესრიგში იქნეს მოყვანილი სასწავლო კაბინეტები, სასკოლო ბიბ-
ლიოთეკები, და უზრუნველყოფილი იქნეს ამ სკოლებში ნორმალური
მეცადინეობის განახლება.

9. 25 მარტამდე, შედგეს ახალი სასკოლო ინვენტარის შეძენისა
და შეკეთების გეგმა და 1-ივლისამდე იქნეს უზრუნველჰყოფილი
ამ ინვენტარის შეძენა და შეკეთება.

10. აღიკვეთოს წინაწყლებში არსებული პრაქტიკა, როცა სკო-
ლებისათვის სათბობის ძებნა ნოემბრისა და ზამთრის თვეებში იწყე-
ბოდა. გადამჭრელი ზომები იქნეს მიღებული და ყველა სკოლა
მიმდინარე წლის 1-სექტემბრისათვის იქნეს უზრუნველყოფილი
მთელი ზამთრისათვის საკმაო სათბობით.

11. 30-მარტამდე დამთავრდეს სასკოლო ეზოების შემოღობვა,
გამწვანება, გასუფთავება და საშუალო სკოლებთან მოეწყოს სას-
პორტო მოედნები.

12. 20-მაისამდე ჩატარდეს სკოლის ქონების ზუსტი საინვენ-
ტარო აღწერა და სათანადოდ გაფორმდეს აღწერის შედეგები.

13. გაზაფხულის პერიოდში სისტემატური მეთვალყურეობა და-
წესდეს და სათანადოდ იქნეს დაცული სასკოლო შენობები და ინ-
ვენტარი დაზიანება-გაფუჭებისაგან.

14. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ სკოლების ინ-
ვენტარის მოვლა-შენახვის საქმეს, რომელთა შენობები გადაეცა

სხვა უწყებას. ინვენტარის დაზიანება-გაფუჭების თავიდან აცილების მიზნით სპეციალური კომისიის მეშვეობით ჩატარდეს სკოლების მფელი ქონების აღწერა და სათანადო აქტით ჩაბარებულ იქნეს პასუხისმგებელი პირისათვის.

15. სასწავლო წლის დასასრულს სრულ წესრიგში იქნეს მოყვანილი სასკოლო კაბინეტები და ბიბლიოთეკები: ჩატარდეს კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებისა და ბიბლიოთეკების წიგნების ზუსტი აღწერა და აქტით ჩაბარება კაბინეტებისა და ბიბლიოთეკების გამგეებისათვის.

16. განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველჰყონ სკოლებისათვის გამოყოფილ სამხედრო კაბინეტების დროულად მიღება და სკოლებზე გადაცემა. სამხედრო იარაღების წესიერად მოვლისა და შენახვის საქმეში სკოლებს სისტემატურად გაეწიოს კონტროლი.

17. დროულად შემოიღობოს, დაიგეგმოს, დაიბაროს და დათესოს მიწის ნაკვეთები. მოწესრიგდეს დათესილისა და დარგულის მეთვალყურეობა, მოვლა და დაცვა, ნარგავები და კვლები გაბიროვნდეს ცალკე მოსწავლეებზე და მოსწავლეთა რაზმებზე, საგაზაფხულო და საზაფხულო არდადეგების დროს დაწესდეს ადგილებზე დარჩენილ მოსწავლეების მორიგეობა, ნაკვეთის მოვლის საქმეში გამოყენებული იქნეს აგრეთვე სკოლის ტექნიკური პერსონალი.

18. განათლების განნ. გამგეებმა ა/წ 30 აპრილამდე წარმოადგინონ კადრების სამმართველოში ზუსტი სიები (სტატისტიკური მონაცემებით) 1942—43 სასწავლო წლის ბოლოსათვის რაიონში მომუშავე პედპერსონალის (სამხედრო ხელმძღვანელების და სამხედრო საქმის მასწავლებლების ჩათვლით) შესახებ.

19. მათვე, ა/წ 30 აპრილამდე წარმოუდგინონ (დაწესებული ფორმის მიხედვით) კადრების სამმართველოს განაცხადი 1943—44 სასწავლო წლისათვის საჭირო პედკადრების მოთხოვნილების შესახებ;

20. 30 აპრილის შემდეგ მ/გ წითელარმიის რიგებში გაწვევის შედეგად სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა შემადგენლობაში მომხდარი აუცილებელი ცვლილებების შესახებ მასალები დაუყოვნებლივ გადმოეგზავნოს განსახკომის კადრების სამმართველოს;

21. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. გატარდეს ყველა საჭირო ღონისძიება, რათა მასწავლებლები დამაგრებულნი იქნენ ადგილებზე. რაიონის ხელმძღვანელ და სამეურნეო-კოოპერატიული ორგანოების წინაშე საკითხის დასმით განათლების განყოფილებებმა მიაღწიონ იმას, რომ:

ა) ჩამოსულ მასწავლებლებს მიეცეს საცხოვრებელი ბინები;

ბ) ყველა მასწავლებელი დროულად იქნეს უზრუნველყოფილი ნორმით დაწესებული პურით და აგრეთვე სათანადო სამოეწველო საქონლით;

გ) მასწავლებლებს მიეცეს საბოსტნე მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური წესით დასამუშავებლად;

დ) მასწავლებლები ფართოდ იქნენ ჩაბმული ზაფხულის პერიოდში სასოფლო.სამეურნეო სამუშაოებში და მათ დროულად აუნაზღაურდეთ გამომუშავებული შრომადღეები;

22. განათლების განყოფილებათა გამგეებმა სისტემატურად შეამოწმონ სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა და ცნობები ზემომოყვანილი ფორმის (იხ. 14 გვ.) მიხედვით გზავნონ განსახკომში შემდეგ ვადებში: პირველი ცნობა 1 ივლისის, მეორე 1-აგვისტოს და საბოლოო ანგარიში 25 აგვისტოს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. ციკნაძე

30К.

10/193

პ/მგ. რედაქტორი ბ. ი. კიზირია

Сборник приказов и распоряжений НКПроса ГССР № 2. 1943 г.

შეკვეთა № 112 ტირაჟი 2000 უე0149

სტამბა ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატისა, ფურცელაძე, 5.